ზურმუხტის ქსელის ჩამოყალიბება საქართველოში, მართვის სისტემებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების ანალიზი

მარიამ სვიმონიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნების დაცვისა და მეტყევეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბუნების დაცვა და მეტყევეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ სვიმონიშვილი

12.06.2025

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი აანალიზებს საქართველოში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას შერჩეულ 7 ზურმუხტის ქსელის საიტის: გარდაბანი- GE 0000019, სურამი 2 - GE0000049, სურამი 3 – GE0000050, სურამი 4 -GE0000052, სურამი 5 -E0000053 , ყვარელი -შილდა - GE0000029, ჯანდარი - GE0000062, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ 30 სოფელზე. ნაშრომში განხილულია საქართველოს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებთან დაკავშირებით და მათ ხელთარსებული ინფორმაციის ანალიზი, ასევე საქართველოს დაცულ ტერიტორებსა და ზურმუხტის ქსელის საიტს შორის არსებული კავშირი.

ანალიზისათვის ნაშრომში გამოყენებულია სტრუქტურირებული ინტერვიუები, რაც წარმოადგენს კვლევის ძირითად კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ მოსახლეობისთვის შეთავაზებულ იქნა კითხვარი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ზურმუხტის ქსელის შესახებ მათი ცოდნა და დამოკიდებულება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და ა.შ. ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარებული გამოკითხის საფუძველზე, შეფასდა მოსახლეობის ცოდნის დონე, დამოკიდებულება გარემოსდაცვითი რეგულაციების მიმართ და მათი მზაობა კონსერვაციის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად. მათი პასუხების ანალიზით გამოვიტანეთ დასკვნები, რომლებმაც გვაჩვენა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყენებს მიმდებარე ტყეებისა და ტბის რესურსებს, თუმცა მათი დამოკიდებულება სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიის დაარსებასთან დაკავშირებით დადებითია და მზად არიან ითანამშრომლონ მთავრობასთან და მმართველ ორგანოებთან თუ ისინი ამის საფუძველზე მიიღებენ სარგებელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ზურმუხტის ქსელის ტერიტორია, ადგილობრივი მოსახლეობა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა, დაცული ტერიტორიები.

Abstract

The presented work analyzes the attitudes of the local population toward the Emerald Network sites in Georgia, focusing on 7 selected Emerald sites: Gardabani – GE0000019, Surami 2 – GE0000049, Surami 3 – GE0000050, Surami 4 – GE0000052, Surami 5 – GE0000053, Kvareli-Shilda – GE0000029, and Jandari – GE0000062, as well as 30 villages located in the surrounding areas. The study discusses the local community's awareness of and attitude toward the Emerald Network, the availability and accessibility of information regarding these areas, and the relationship between Georgia's Emerald sites and Protected areas of Georgia.

For the analysis, the study employed structured interviews, which formed the core methodological component. Through this process, residents were asked questions concerning their knowledge and attitudes regarding the Emerald Network, their use of natural resources, and related issues. Based on the survey results, the research assessed the level of environmental awareness among the population, their attitudes toward environmental regulations, and their willingness to participate in conservation efforts.

The analysis of respondents' answers revealed that local communities make active use of surrounding forest and lake resources. Nevertheless, their overall attitude toward the establishment of different categories of protected areas is positive, and they are willing to cooperate with the government and management authorities, provided that such cooperation yields tangible benefits for them.

Key Words: Emerald Network site, local population, local community engagement, protected areas.

მადლობა

საჭიროდ მიმაჩნია გულწრფელად გამოვხატო მადლიერება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობებისა და ხარისხიანი განათლებისათვის, რომელიც ნაშრომის შესრულებისას საფუძვლად დამედო. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ლექტორებს, რომლებიც დაუღალავად მედგნენ გვერდში მთელი სასწავლო წლების განმავლობაში, თავიანთი პროფესიონალიზმით და მხარდაჭერით მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩემს აკადემიურ განვითარებაში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუცხადებ ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ ჯავახიშვილს – არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოჩენილი მხარდაჭერისათვის, არამედ იმ გამორჩეული თანადგომისა და მოტივაციისათვის, რომელიც მან გამოიჩინა სასწავლო პერიოდის განმავლობაში. მისი რჩევები და მოთმინება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

მადლობა ქალბატონ ნანა დევიძეს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში. მისი დახმარება გამოკითხვის ორგანიზებაში, ანალიზში და პროფესიული მხარდაჭერა დიდი წვლილია ნაშრომის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში.

ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ ლექტორს, ვინც საკუთარი ცოდნით, გამოცდილებითა და კეთილგანწყობით ხელი შემიწყო მიზნების მიღწევაში.

დასასრულს, მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგებსა და სამსახურს გაწეული თანადგომისა და მოქნილობისათვის, რაც საშუალებას მაძლევდა, რესურსი და დრო სრულად მიმეძღვნა ნაშრომის ხარისხიანად შესრულებისათვის.